უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№2 2011

ღვინო მარგებელი

ქართული ღვინოს სამკურნალო თვისებები აქვს და ამ თვისებებით ევროპულ ღვინოებსაც სჯაბნის. თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტთან არსებულ, ბიოფიზიკისა და სპექტროსკოპიის ლაბორატორიაში ღვინოს სამკურნალო თვისებებს უკვე წელიწადნახევარია იკვლევენ.

გვ. 2

თქვენი თარჯიმანი თსუ-დან

თსუ-ს ლექსიკოგრაფიული ცენტრის მიერ დიდი ონლაინ ინგლისურ-ქართული ლექსიკონი შემუშავდა. ლექსიკონ Dictionary.ge-ში დღეისათვის დაახლოებით 100 000-მდე სიტყვა-სტატიაა შესული.

გვ. 2

ჯონ ბასი თსუ-ში

1 ივლისს თსუ-ს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ჯონ როდნი ბასი ეწვია. შეხვედრისას თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის სტუდენტებს შორის ჩატარებულ ესეების კონკურსში გამარჯვებული ორი სტუდენტი გამოვლინდა.

გვ. 4

ყველაზე ლამაზები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თავისი სილამაზის დედოფალი ჰყავს. ექვსკაციანმა ჟიურიმ რექტორის თავმჯდომარეობით "მის თსუ"-ის ტიტული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკისმცოდნეობის მიმართულების 19 წლის სტუდენტს ნეკა დოროყაშვილს მიანიჭა.

გვ. 4

თსუ-ის ამერიკელი პარტნიორები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სამართლიანად შეუძლია იამაყოს თავისი საერთაშორისო კავშირებით. 14 ივნისიდან 25 ივნისის ჩათვლით აშშ-ში თსუ-ის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის ვიზიტის მიზანიც პარტნიორ უნივერსიტეტებთან სათანამშრომლოდ ძველი კავშირების გაღრმავება და მომავალ პარტნიორებთან ურთიერთობების დამყარება იყო. შეხვედრების ერთ-ერთი შედეგი, შესაძლოა, თსუ-ის ბიბლიოთეკის ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების ელექტრონულ სისტემაში ჩართვა გახდეს.

თსუ-ს რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი ამერიკაში ვიზიტს ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს: "ვიზიტის განმავლობაში დასახული ძალზე ბევრი პროექტი, მომავალში როგორც თსუ-ს სტუდენტებს, ისე მასწავლებელ-მკვლევარებს წაადგება. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – იგი აშშ-ის წამყვან უნივერსიტეტებთან ურთიერთობის საუკეთესო საშუალებებს აჩენს".

რათგერსის უნივერსიტეტი

რათგერსის უნივერსიტეტთან (ნიუ-ჯერსის შტატში წამყვანი უნივერისტეტი) თსუ-ს რამდენიმეწლიანი ურთიერთობა აქვს. მისი ვიცე-პრეზიდენტი ჯონანა რეგულსკა დიდი ხანია თსუ-ის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებულ ცენტრთან თანამშრომლობს. თსუ ახლა რათგერსთან თანამშრომლობისას აქცენტს ბიზნეს და სახელმწიფო მართვის სკოლებთან ურთიერთობის გაღრმავებაზე აკეთებს. ფიზიკის და მათემატიკის მიმართულების დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან საუბარი კი ერთობლივი კვლევების კუთხით თანამშრომლობას შეეხებოდა.

შეხვედრები ნიუ-იორკში

ნიუ-იორკის საუნივერსიტეტო სისტემასთან შეხვედრა დელჰაის კამპუსში შედგა. უნივერსიტეტის რექტორ ქენდის ვენკოსთან, რომელიც საქართველოში ხშირად ჩამოდის, საუბარი სტუდენტების გაცვლას შეეხო. შეხვედრები შედგა ასევე ჰარვარდში, განათლების უმაღლეს სკოლაში, რომელიც ბევრმა ჩვენმა

გაგრძელება მე-2 გვ.

მაგისტრატურა – საერთაშორისო სტანდარტით

2011 წლის 9 ივნისი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის – ISET-ის 27 მაგისტრანტისთვის განსაკუთრებული დღე გახლდათ. მათ ორწლიანი სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, ეკონომიკის მაგისტრის წოდება და საგანგებო პრიზები და დიპლომები მიიღეს.

თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) მაგისტრების დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი ტრადიციულად გაიმართა – მაგისტრანტები კურსდამთავრებულთა მანტიებში იყვნენ გამოწყობილი; მათ ცხოვრების ახალ ასპარეზზე გადასვლა მიულოცეს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ; ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ და სტუდენტებს სიტყვით მიმართეს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველმა მოადგილემ არჩილ კეკელიამ და BP-ის გენერალურმა დირექტორმა ნილ დანიმ.

თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა ISET 2006 წელს მსოფლიო ბანკის, BP-ის, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ფონდის "ღია საზოგადოება", შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს და საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით დაარსდა.

გაგრძელება მე-2 გვ.

აღმოაჩინე საქართველო

ისინი განსხვავებულები არიან - კულტურით, ხასიათით, ინტერესებით. თითოეულს თავისი ისტორია აქვს და თავისი მიზეზი - რის გამოც ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. თუმცა, ერთი რამ მათ ნამდვილად აერთიანებთ - ყველა მათგანი დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს.

ალისია ვარეცკა – პოლონეთი

პოლონეთში ქართველი მეგობარი ჰყავდა. ალისიას საქართველოში წამოსვლის წინ მან ამხანაგებს დაურეკა და სტუმარი "ჩააბარა" - მიმიხედეთო. გაფრთხილებულმა მეგობრებმა შემდეგ სხვები გადააფრთხილეს და... ასე გაიჩინა ალისია ვარეცკამ საქართველოში ჩამოსვლიდან მოკლე ხანში ერთბაშად უამრავი მეგობარი.

თსუ-ში მაგისტრატურაში სწავლობს – გაცვლითი პროგრამით. ცოდნას აღმოსავლეთ ევროპის შესახებ იღრმავებს. როგორც ამბობს, თსუ-ში ერთი მოსაწყენი ლექციაც კი არ ახსოვს. ყველაზე მეტად იმან გააოცა, რომ მისი ლექტორების უმეტესობა საკმაოდ ახალგაზრდა, მაგრამ ამავე დროს, ძალზე მცოდნე იყო.

გაგრძელება მე-3 გვ.

ალისია ვარეცკა – პოლონეთი

თსუ-ის ამერიკელი პარტნიორები

პირველი გვერდიდან

თანამემამულემ დაასრულა.

ნიუ-იორკში განათლების საერთაშორისო ინსტიტუტში თსუ-ის რექტორმა წარადგინა პრეზენტაცია განათლების სისტემის რეფორმებზე. პრეზენტაციამ დიდი ინტერესი გამოიწვია. სტუმრის სტატუსით შეხვედრას ასევე განათლების ყოფილი მინისტრი, გაეროში ჩვენი ელჩი კახა ლომაიაც დასწრო. ამერიკაში ყოფნისას თსუ-ის რექტორი თავის მხრივ ამერიკელ დოქტორანტსაც დაპირდა დახმარებას, რომელიც განათლების რეფორმებზე კვლევისთვის ქართველ კოლეგას ეძებდა.

ახალი პარტნიორი

ამერიკაში ვიზიტის შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალ პარტნიორად უკვე ვანდერბილტის უნივერსიტეტიც შეიძლება ჩაითვალოს. მის წარმომადგენლებს თსუ-ში უკვე შემოდგომისთვის ელიან. ვანდერბილტის უნივერსიტეტს მჭიდრო ურთიერთობის დამყარება თსუ-ის ყველა ფაკულტეტთან აქვს გადაწყვეტილი. თანამშრომლობა სტუდენტების, მაგისტრანტების გაცვლის, ერთობლივი კვლევების და სხვა კუთხით იგეგმება. გარდა ამისა, ამერიკელებს საუნივერსიტეტო მოწყობის მხრივ არსებული ჩვენი გამოცდილება აინტერესებთ. ვანდერბილტი ჰარვარდივით გრანდიოზული მასშტაბის არ არის, მაგრამ საუკეთესო 20 უნივერსიტეტის სიაში შედის. იგი აშშ-ში, შესაბამისად კი მსოფლიოში ძალზე წარმატებულ უნივერსიტეტად ითვლება.

ვაშინგტონის უნივერსიტეტი

ვაშინგტონის უნივერსიტეტი ამერიკაში საუკეთესო საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურით არის ცნობილი. თსუ-ს მისი არა ფორმალური, არამედ რეალური პარტნიორობის სურვილი აქვს. პირველ რიგში, ეს თსუ-ის ბიბლიოთეკის მათ საბიბლიოთეკო ელექტრონულ სისტემაში ჩართვას გულისხმობს. ამით, ვაშინგტონის ბიბლიოთეკაში დაცულ მასალებზე თსუ-ს უკვე ავტომატური წვდომა მიეცემა. თსუ-ის რექტორი დარწმუნებულია, რომ გარდა ამისა კიდევ ძალზე ბევრ ერთობლივ პროექტზე შეიძლება საუბარი.

* * *

აშშ-ის უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან შეხვედრების ერთ-ერთი მთავარი თემა ასევე კურსდამთავრებულთა პროგრამები იყო. ამ მხრივ ამერიკული უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ევროპაში მსგავსი პროექტები არ ხორციელდება.

როგორც ალექსანდრე კვიტაშვილი ამბობს, ყველა შეხვედრაზე საუბარი იყო ასევე თანამედროვე სტანდარტების კურიკულუმების შექმნაზე. იმაზე, რომ თსუ-ში სწავლება მსოფლიოში წარმატებული უნივერსიტეტების პროგრამის და საერთაშორისო დონის შესაბამისად ხორციელდებოდეს.

თსუ-ის დონორ ორგანიზაციასთან, ფონდი "ღია საზოგადოების ინსტიტუტის" დირექტორ ჟაკ ფრემონთან შეხვედრისას კი გაირკვა, რომ ფონდის ხელმძღვანელი უნივერსიტეტში მიმდინარე და განხორციელებული პროექტებით კმაყოფილია. ფონდი უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამას ახორციელებს და თსუ-ს სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში მომავალშიც დაეხმარება

და ბოლოს, კიდევ ერთი პროექტი, რომლის განხორციელებაც უახლოეს მომავალში იგეგმება შავი და კასპიის ზღვების სწავლების ქსელის ონლაინ ჟურნალის გამოცემაა. ჟურნალში, რომელიც მომავალ ზამთარს გამოვა, განათლების, კვლევების, სიახლეების და პოლიტიკის საკითხებზე გამახვილდება ყურადღება. აშშ-ში ვიზიტის შემდეგ მასში, ალექსანდრე კვიტაშვილის ხელმძღვანელობით, თსუ-ც ჩაერთვება.

ღვინო მარგებელი

ღვინო არა მხოლოდ ათრობს, არამედ, ზომიერი დოზებით, კურნავს კიდეც. ამ დასკვნამდე მსოფლიოს მეცნიერები უკვე კარგა ხანია მივიდნენ. თუმცა, ქართველი გლეხი ბევრად ადრეც გეტყოდათ, რომ ქართულ ღვინოს სამკურნალო თვისებები აქვს და ამ თვისებებით, ნებისმიერ ევროპულ ღვინოს სჯაბნის. თსუ-ის მეცნიერებმა ეს "ისტორიული" რწმენა კონკრეტული კვლევებით დაადასტურეს.

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტთან არსებულ, ბიოფიზიკისა და სპექტროსკოპიის ლაბორატორიაში ღვინის სამკურნალო თვისებებს უკვე წელიწადნახევარია იკვლევენ. სახელმწიფო სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში პროექტზე ლაბორატორიის 5 თანამშრომელი მუშაობდა.

პროექტის ფარგლებში თსუ-ის მეცნიერებმა ადამიანის ორგანიზმზე ღვინის სამკურნალო ეფექტის კვლევისას გაზომვის ახალი მეთოდი შეიმუშავეს. ეს მეთოდი ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიურ პროცესებთან, ყველა სხვა დღემდე არსებულ მეთოდთან შედარებით, მეტადაა მიახლოებული.

პროექტის ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ედუარდ ჩიკვაიძე განმარტავს, რომ ყველა ღვინოს სამკურნალო თვისება, ცხადია, ერთნაირი არ არის. ღვინის ანტიოქსიდანტური პოტენციალი (უნარი შეანელოს ჟანგვითი პროცესები, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში მთელ რიგ პათოლოგიებსა და დაავადებებს განაპირობებენ) რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული: ყურძნის ჯიშზე, რომლისგანაც მზადდება; რეგიონზე, სადაც ვაზია გაშენებული; კლიმატურ პირობებზე, რომელშიც ყურძენია მოწეული; და ბოლოს - ღვინის დაყენების ტექნოლოგიაზე.

"დადასტურებულია, რომ ფლავონოიდები (ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები), განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა ყურძნის წიპწაში და ყურძნის კანში. აქედან გამომდინარე, ღვინის დაყენების ქართული, უფრო ზუსტად კი, კახური წესი (ღვინის ჭაჭაზე დაყენება) ევროპულს (წვენის კანისა და წიპწისგან გამოწურვა-განცალკევებით), ღვინოს სარგებლიანობის შესანარჩუნებლად, ბევრად სჯობს". – ამბობს ედუარდ ჩიკვაიძე.

ამასთან, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტთან არსებულ, ბიოფიზიკისა და სპექტროსკოპიის ლაბორატორიაში ღვინის წარმოების ყველა ეტაპზე მისი სასარგებლო კომპონენტების გაზომვის მეთოდიც შეიმუშავეს. პროფესორ ედუარდ ჩიკვაიძის თქმით: "შემუშავებული მეთოდი, ძირითადად, ალბათ ღვინის მწარმოებლებისთვის იქნება საინტერესო. ამ მეთოდის წყალობით, ღვინის დაყენების ტექნოლოგიური პროცესების სხვადასხვა ფაზაში ღვინოში შემავალი ძირითადი ანტიოქსიდანტური კომპონენტების შემცველობის განსაზღვრა გახდება შესაძლებელი. ეს კი მწარმოებელს საშუალებას მისცემს საბოლოო პროდუქტში ანტიოქსიდანტური აქტივობის მაქსიმალურად შენარჩუნება აკონტროლოს".

პროექტის ავტორთა აზრით, მათი კვლევის შედეგი მნიშვნელოვანია როგორც მეცნიერული, ისე კომერციული თვალსაზრისით.

ღვინის მაღალი სამკურნალო თვისებების სამეცნიერო კუთხით დასაბუთება ხარისხის კიდევ ერთი მაჩვენებელია; ეს მსოფლიო ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციის კიდევ ერთ საშუალებად შეიძლება იქცეს.

ერთ-ერთ ხერხს, რითაც ამის მიღწევა შეიძლება, თავად ლაბორატორიის თანამშრომლები სთავაზობენ მეღვინეებს: ქართული ღვინის ბოთლების კონტრ-ეტიკეტზე ორგანიზმისთვის სასარგებლო, სამკურნალო თვისებების შესახებ ჩანაწერის დატანა შეიძლება. თსუ-ს ლაბორატორიაში შემუშავებული მეთოდიდან გამომდინარე, მოკლე ანოტაციაში შესაძლებელი გახდება იმის განმარტება, თუ რა ელემენტებს შეიცავს ღვინო და რისთვისაა მარგებელი იგი. ბოთლის ეტიკეტზე გაკეთებულ ამ პატარა ჩანაწერს ქართული ღვინისათვის კარგი რეკლამის გაკეთება შეუძლია.

თქვენი თარჯიმანი თსუ-დან

თსუ-ის ლექსიკოგრაფიული ცენტრის მიერ დიდი ონლაინ ინგლისურ-ქართული ლექსიკონი შემუშავდა. ლექსიკონ Dictionary.ge-ში დღეისათვის დაახლოებით 100 000-მდე სიტყვა-სტატიაა შესული. ლექსიკონში შეტანილია სამეცნიერო-ტექნიკურ, ეკონომიკურ, ბიოლოგიურ, ხელოვნების და სხვა სფეროებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, იგი განკუთვნილია როგორც ინგლისური ენის სპეციალისტებისათვის, რომლებსაც დარგობრივ ტექსტებზე უხდებათ მუშაობა, აგრეთვე დამწყებებისთვის. ონლაინ ლექსიკონის საშუალებით შესაძლებელია როგორც ინგლისური სიტყვის, შესიტყვების მოძიება, ისე ქართული სიტყვებისა და ფრაზების თარგმნა ინგლისურად.

ამ ონლაინ ლექსიკონს საფუძვლად დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის გამოცემა დაედო. მრავალტომიანი ლექსიკონის გამოცემა ცენტრის ხელმძღვანელის თინათინ მარგალიტაძის რედაქტორობით 1995 წლიდან დაიწყო, როდესაც ცენტრი ინგლისური ფილოლოგიის კათედრასთან არსებობდა. წელს ცენტრს უკვე საუნივერსიტეტო სტატუსი მიენიჭა. ამ დროის განმავლობაში ცენტრის რამდენიმეკაციანმა კოლექტივმა, რომლის შემადგენლობაში პროფესორები შუქია აფრიდონიძე და არიანე ჭანტურიაც შედიან, დიდი სამუშაოს ჩატარება შეძლო.

ლექსიკონის ბეჭდვით ვერსიას გამოსვლა ონლაინ ვერსიამ დაასწრო. დღეისათვის დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის 13 ტომია გამოსული, საბოლოოდ კი მისი გამოცემა 2012 წლისთვის დასრულდება.

ლექსიკოგრაფიის ცენტრს სამომავლოდ ლექსიკონების ორ ციკლზე მუშაობა აქვს გადაწყვეტილი. მასშტაბური, სასწავლო ფორმატის ლექსიკონებზე (გერმანული, ჰოლანდიური, სკანდინავიური მიმართულების და სხვა ენებზე) და დარგობრივის ხასიათის ლექსიკონებზე. ცენტრის ხელმძღვანელი დარწმუნებულია, რომ ყველა ამ ლექსიკონის შექმნა დროში უფრო ოპერატიულად გახდება შესაძლებელი. ქალბატონ თინათინ მარგალიტაძის თქმით, გარკვეული საფუძველი, დიდი ინგლისურ–ქართული ლექსიკონის სახით, უკვე არსებობს. გამოცდილება არსებობს ასევე დარგობრივი ლექსიკონის თვალსაზრისითაც, რადგან თსუ ლექსიკოგრაფიული ცენტრი დღეისათვის თავდაცვის სამინისტროს დაკვეთით სამხედრო ლექსიკონის შექმნას ასრულებს. გარდა ამისა, ახალი წლისთვის ცენტრს ლექსიკოგრაფი დოქტორანტებიც შეემატებიან.

მაგისტრატურა – საერთაშორისო სტანდარტით

პირველი გვერდიდან

ეს გახლავთ საქართველოში მოქმედი კონკურენტუნარიანი, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე სამაგისტრო პროგრამა. სწავლა აქ ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს. უნივერსიტეტში ასწავლიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული პროფესორები.

2010 წლიდან, სამაგისტრო პროგრამაზე დარეგისტრირებულ აპლიკანტებს საშუალება აქვთ მოიპოვონ მომავალი ლიდერის სტიპენდია (Future Leader's Scholarships), რომელიც სტუდენტს უფარავს სწავლის სრულ საფასურს და უნიშნავს სტიპენდიას. გარდა ამისა, ყველა წარმატებულ სტუდენტს ეფარება სწავლის გადასახადის ნაწილი და ენიშნება ყოველთვიური სტიპენდია. სტუდენტებს აგრეთვე საშუალება ეძლევათ მიიღონ ISET-ის სტუდენტებისათვის სპეციალურად შექმნილი შეღავათიანი სესხები. თბილისის გარეთ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ სტუდენტებს, სწავლის პერიოდში, ISET-ი უზრუნველყოფს საცხოვრებელი ბინებით.

საუკეთესო სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა: ისწავლონ ერთი სემესტრი აშშ-ის ან დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში; გაიარონ პრაქტიკა სამთავრობო, არასამთავრობო სექტორში და კერძო კომპანიებში; და გააგრძელონ სწავლა დოქტორანტურაში აშშ-ის და დასავლეთ ევროპის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში, სრული დაფინანსებით.

* * *

თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სამაგისტრო პროგრამა ერთ-ერთია თსუ-ის სამაგისტრო პროგრამებს შორის. ჩვენ უკვე ვწერდით, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კიოლნის უნივერსიტეტს შორის 2007 წლიდან ხორციელდება საერთო სამაგისტრო პროგრამა. უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ქართველ კურსდამთავრებულებს, ორსემესტრიანი სწავლების შედეგად, სამაგისტრო ნაშრომის და გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდგომ, „Master of Laws" (LL.M.)-ის აკადემიურ ხარისხი ენიჭებათ.

საერთო სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა" ხორციელდება ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გერმანიის ქ.შპაიერის აღმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტს შორის. მაგისტრატურის პროგრამული მიმართულება სამართალი და ეკონომიკაა. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: აღმინისტრაციულ მეცნიერებათა მაგისტრი (Master of Administrative Sciences).

თსუ-ს მიღება აქვს გამოცხადებული კიდევ ერთ ახალ სამაგისტრო პროგრამაზე ორმაგი ხარისხით – გერმანიის ქალაქ იენის შილერის სახელობის უნივერისიტეტთან ერთად. მიმართულება – ეკონომიკის ბიზნესის აღმინისტრირება.

* * *

2011 წლის ივლისში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ასევე გამოაცხადა მიღება მაგისტრატურაში კონფლიქტის ანალიზის და მართვის სპეციალობაზე; პროგრამა მომზადებულია აშშ-ის ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის და დენვერის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის შედეგად და შეესაბამება მათ სამაგისტრო პროგრამებს.

კონფლიქტის ანალიზის და მართვის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, რომლებიც წარმატებით იმუშავებენ სამთავრობო სტრუქტურებში, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ექსპერტების რანგში მათ შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფლიქტების პრევენციასა და მოგვარებაში.

პროგრამა 2005 წლიდან ფუნქციონირებს და მისი კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ სწავლას აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, შვედეთის, ნორვეგიის, იაპონიის, დანიის და ესპანეთის უნივერსიტეტებში.

* * *

კიდევ ერთ – ევროპათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე მიღებას თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტი აცხადებს. სწავლება ინგლისურ ენაზეა.

თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტი, 2007 წელს ტასისის პროგრამის ფარგლებში შეიქმნა – იურიდიული, ეკონომიკის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარული ფაკულტეტების ბაზაზე. იგი მომავალ სტუდენტებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, ჩაირიცხონ დისციპლინათაშორის პროგრამაში. ევროპული კვლევების ინსტიტუტის კურიკულუმი და სილაბუსები შემუშავებულია საერთაშორისო ექსპერტების მიერ, წამყვანი დასავლეთ ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით.

* * *

ამ და სხვა, არანაკლებ საინტერესო სამაგისტრო პროგრამების შესახებ ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ნახონ თსუ-ს ვებ-ვერდზე: www.tsu.edu.ge და ასევე დასვან კითხვები თსუ-ს გვერდზე ფეისბუკში.

აღმოაჩინე საქართველო

პირველი გვერდიდან

კავკასიოლოგიის გარდა, გენდერისა და პოლიტიკის საკითხები აინტერესებს. უფრო მეტად – აფხაზეთი, რომლითაც ჯერ კიდევ ვარშავაში ყოფნისას დაინტერესდა. პოლონეთში ხელი ძირითადად რუსულ წყაროებზე მიუწვდებოდა. ახლა წყაროების სიუხვეზე საუბრობს. მალე აფხაზეთში ჩასვლას და ყველაფრის საკუთარი თვალით ნახვას გეგმავს. მანამდე კი, აქტიური მეგობრების დახმარებით, თითქმის მთელი საქართველო მოიარა. ინტერნეტში საქართველოზე ცალკე ღღიურიც დადო, უამრავი ილუსტრაციით. როგორც ამბობს, ყველაზე მეტად აქაური მეგობრების გარეშე ყოფნა გაუჭირდება. საქართველოში და თსუ-ში მიღებულ გამოცდილებას საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციის კუთხითაც გამოიყენებს.

სიუზან კიმი – გერმანია

გერმანიაში ქართველი კურსელები თავისი ქვეყნის შესახებ ისეთ ამბებს უყვებოდნენ, საქართველო ზღაპრული ქვეყანა ეგონა. ამ "ზღაპრულ ქვეყანაში" სიუზანი 4 წლის წინ ჩამოვიდა – ახალი ენის შესასწავლად და კულტურული ჰორიზონტის გასაფართოებლად. მანამდე ფრანგულ, ინგლისურ და ესპანურ ფილოლოგიას სწავლობდა უნივერსიტეტში. ქართულ ენასთან ერთად სიუზანმა საქართველოში მეუღლეც შეიძინა – ნიკა ლომთაძე. ნიკა ეკონომიკას სიუზანის მშობლიურ ქალაქ ზაარბრუკენში ექვსი წელი სწავლობდა. თუმცა, ერთმანეთი თბილისში გაიცნეს. როდესაც მეუღლეს შეხვდა, გადაწყვიტა მასთან ერთად ქართული ნაწარმოებები ეთარგმნა. პროფესიონალიზმის ასამაღლებლად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარა დოქტორანტურაში. თსუ-ში იმიტომ, რომ აქ აღმოაჩინა ხელმძღვანელი, ვისთანაც მუშაობას შეძლებდა – პროფესორი ანა გოგოლაშვილი.

სიუზანი ახლა ნიკასთან ერთად "სამოსელი პირველის" თარგმნაზე მუშაობს. მანამდე მეგობართან ერთად ორი საბავშვო წიგნი თარგმნა გერმანულიდან.

ღღეს იგი თბილისში ცხოვრობს - მეუღლესთან და 2 თვის ლაზარესთან ერთად. სწავლობს თსუ-ის დოქტორანტურაში, მეუღლესთან ერთად აქვს ლათინური ცეკვების შემსწავლელი სტუდია. საქართველოში ცხოვრებისას პრობლემებიც შეხვდა, მაგრამ ძალზე ბევრი ისეთი რამეც აღმოაჩინა, რამაც მისი ცხოვრება უფრო სრულყოფილი და საინტერესო გახადა.

ვენდი ევა კოლინსი – ნიდერლანდები

ამერიკაში დაიბადა და ჰოლანდიაში გაიზარდა. ამ ორი ქვეყნის გარდა კიდევ ძალიან ბევრი ქვეყანა ნახა. თუმცა, არც ერთი მოსწონებია ისე, როგორც საქართველო. ევროპელი სტუდენტებისთვის გათვალისწინებული პროგრამით საქართველოში სულ ორ კვირით ჩამოვიდა. საბოლოოდ კი აქ მაგისტრატურაში სასწავლებლად დარჩენა გადაწყვიტა. ღღეს ჰოლანდიელი ივი, როგორც მას მეგობრები ეძახიან, თსუ-ში ევროპისმცოდნეობას სწავლობს.

აქ ჩამოსვლამდე საქართველოზე არაფერი იცოდა. გაგონილი მხოლოდ ქართული ღვინის შესახებ ქონდა. ქვეყანაც საკმაოდ რუს ფერებში წარმოედგინა. ახლა იგი საქართველოს ერთი-ერთი ყველაზე დიდი "პრომოუტერია". სტუმრად ჩამოსულ ნაცნობებს კვალიფიციურ მეგზურობას უწევს, დანარჩენების კი აქ ჩამოსვლისკენ აქტიურად მოუწოდებს. მიზეზი რამდენიმე აქვს: ტრადიციული "ტურისტული" – თბილი ხალხი, ულამაზესი ბუნება, უგემრიელესი საჭმელი... და ა.შ. და მეორე – პროფესიონალური: "მუშაობას ევროკავშირში ვაპირებ, ვფიქრობ საქართველოში მიღებული ცოდნა და გამოცდილება ძალზე დამეხმარება.

თამამად ვიტყვი, რომ სწავლების მაღალი დონეა. ჩემი ლექტორებიდან ზოგი ქართველია, ზოგიც - უცხოელი. ერთ-ერთი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეა, სერგი კაპანაძე. საჯარო ლექციებს ხშირად ფულბარიტის პროგრამის სტიპენდიანტები გვიკითხავენ. ლექტორები, რომლებიც ამავე დროს ვაშინგტონის ან ოქსფორდის უნივერსიტეტებში ასწავლიან. ეს ის ხალხია, ვინც თავის ქვეყანაში ძალზე წარმატებულად ითვლება. მათი ლექციების მოსმენაში საზღვარგარეთ დიდ ფულს იხდიან. მე კი ეს ყველაფერი ასე აღვილად შემიძლია მივიღო. სტუდენტისთვის აქ ძალზე ხელსაყრელი პირობებია და ჩემს ნაცნობებს აქ სასწავლებლად ჩამოსვლას გულწრფელად ვურჩევ. გარდა ამისა, მართლაც ჩემს ინტერესშია, რაც შეიძლება მეტმა უცხოელმა გაიგოს თსუ-ს შესახებ და ისწავლოს აქ. ასე ხომ ჩემს დიპლომს კიდევ უფრო მეტი წონა მიეცემა."- ამბობს ივი. საქართველო და თბილისი მას სხვა რამითაც იზიდავს - აქ ჩამოსულ ბევრ უცხოელთან, სხვადასხვა ეროვნების ხალხთან, კომუნიკაციის საშუალება აქვს. "მე რომ ჰოლანდიაში ან, ვთქვათ, იტალიაში მესწავლა, ამდენი ეროვნების ადამიანს ნამდვილად ვერ გავიცნობდი" - დარწმუნებულია ივი, რომელიც ქართულ ანბანს უკვე საქართველოში ჩამოსულ შვედ მეგობარს ასწავლის.

მეჰმეთ ნადირ აჯეთი და გიულ მუქერრემ სეზგინი – თურქეთი

მეჰმეთ ნადირ აჯეთი ქართველი თანაკურსელებისთვის უკვე ნოდარია. იგი ქართულს ყარსის კავკასიის უნივერსიტეტში 4 წელი სწავლობდა, თავის ნათესავ და მეგობარ გიულისთან ერთად. ქართულის არმცოდნე ლექტორისგან ენა კარგად ვერ შეისწავლეს, თუმცა ოთხწლიანმა სწავლებამ თავისი შედეგი მაინც გამოიღო: მეჰმეთ ნადირმა და გიულიმ ქართულის სასწავლად საქართველოში ჩამოსვლა გადაწყვიტეს. ორი წლის შემდეგ თურქეთში კავკასიის უნივერსიტეტს თსუ-დან ქართული ენის ორი აღგილობრივი ლექტორი

დაუბრუნდება.

მეჰმეთ ნადირი თსუ-ის მაგისტრატურაში ენათმეცნიერებას სწავლობს, გიული – ქართველოლოგიას. მეჰმეთ ნადირი მარტო ცხოვრობს და პრაქტიკისთვის, ძირითადად, ხმამაღლა ჩართულ ტელევიზორს უსმენს. იმის გამო, რომ ქართულად ლაპარაკი ცოტა ერიდება, ყველაზე თავისუფლად მაინც ბაზარში ელაპარაკება გამყიდველებს. გიულის უფრო გაუმართლა, ქართულ ოჯახში ცხოვრობს -პრაქტიკაც მეტი აქვს.

"საქართველოში რამე პრობლემა თუ მაქვს, ჩემს ლექტორებს მივმართავ დახმარებისთვის, მაგრამ დიდად არაფერი მაწუხებს",- ამბობს მეჰმეთ ნადირი, რომელმაც ლექტორები "ფეისბუკში" თავის გვერდზე უხვად დაამატა.

"ყველა ლექტორი მიყვარს, ძალიან თბილები არიან", - ამბობს გიული. თავის ლექტორ ასმათ ჯაფარიძესთან ერთად "ბაში-აჩუკს" თარგმნის თურქულად და "ალუდა ქეთელაურის" და "სტუმარ-მასპინძლის" სათარგმნად ემზადება.

სხვა უცხოელი სტუდენტებისგან განსხვავებით, თურქმა სტუდენტებმა მაგისტრატურაში ჩაბარებამდე ცოტა უფრო მეტი იცოდნენ საქართველოზე. რადგან, გარდა იმისა, რომ მეზობლები არიან, 2009 წელს თსუ-ის საზაფხულო სკოლაშიც მიიღეს მონაწილეობა. აქ ქართულს თსუ-ის პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძისგან სწავლობდნენ.

* * *

გაცვლითი პროგრამით ჩამოსული სტუდენტების გარდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დღეისთვის უცხო ქვეყნის 200-ზე მეტი მოქალაქე სწავლობს. აქედან დიდი ნაწილი წარმოშობით ქართველია, მაგრამ უცხოელთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს.

მობილობა თსუ-ში

თსუ-ში განისაზღვრა 2011-2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა.

სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან თსუ-ში გადმოსვლის მსურველი სტუდენტებისთვის მობილობის ვადები ასეთია: დოკუმენტაციის მიღება – 2-9 სექტემბერი; უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება – 12-13 სექტემბერი; სტუდენტთათვის აღიარებული კრედიტების გაცნობა – 14 სექტემბერი; ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება - 16 სექტემბერი. საგამოცდო ვადები კი შემდეგნაირად განისაზღვრა: დოქტორანტურაში უცხო ენის გამოცდა – 12 სექტემბერი; აპელაციაზე განცხადების მიღება – 13 სექტემბერი; აპელაციის განცხადებების განხილვა და შედეგების გამოცხადება – 14 სექტემბერი; გასაუბრება სპეციალობაში – 15 სექტემბერი; მობილობაში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერთიფიკატის ასლი; სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტი; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სათანადო წესით დამოწმებული სტუ-დენტის სასწავლო ბარათი; უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტუ-რებელი დოკუმენტის ასლი;

შავი ზღვის ახალგაზრდა დიპლომატთა სკოლა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სტუდენტური თვითმმართველობა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად აწყობს საგანმანათლებლო პროექტს "შავი ზღვის ახალგაზრდა დიპლომატთა საზაფხულო სკოლა". საზაფხულო სკოლის მთავარი თემა იქნება: ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები შავი ზღვის ქვეყნებს შორის საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. პროექტი ჩატარდება საქართველოში, დაბა ჩაქვში, სასტუმრო "ოაზისში" 2011 წლის 19 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე. შავი ზღვის ახალგაზრდა დიპლომატთა სკოლის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს: ლექციებს, დებატებს და სიმულიაციებს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ექსკურსიები და ქართული კულტურის საღამო. მონაწილეებს მიეცემათ საშუალება შეხვდნენ საქართველოს მთავრობის ოფიციალურ პირებსა და საქართველოში აკრედიტებული საელჩოების წარმომადგენელებს. მოხარულები ვართ მოვიწვიოთ პოლიტიკური მეცნიერებების, საერთაშორისო უერთიერთობების და იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტები. სკოლის სამუშაო ენაა ინგლისური. მონაწილეობის მისაღებად სტუდენტი უნდა იყოს 18-დან 24 წლამდე და უნდა სწავლობდეს ზემოთ აღნიშნულ სპეციალობაზე (პოლიტიკური მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები, იურიდიული). დამატებითი ინფორმაცია და აპლიკაციები იხილეთ თსუ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

www.tsu.edu.ge ან დაუკავშირდით:
ტელ: +995 55 45 90 35
ელ. ფოსტა: bsydsteam@gmail.com

მედიის ცნობილი მკვლევარი თსუ-ში

„თსუ-ის სტუდენტებს აქვთ თავისი აზრი, რომლის გამოხატვისაც არ ეშინიათ ისევე, როგორც კითხვის დასმის. აქ, ლექციებზე, მე სტუდენტების უფრო მეტი აქტიურობის და ჩართულობის მოწმე ვიყავი, ვიდრე ჩემს ლექციებზე, ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტში ვარ მიჩვეული.“ - ეს აღიარება 44 წლის სამუშაო გამოცდილების მქონე ამერიკელმა პროფესორმა დონალდ შოუმ თსუ-ში გატარებული სამი კვირის შემდეგ გააკეთა.

ცნობილი ჟურნალისტი და მედიამკვლევარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აშშ-ის ფულბარიტის სპეციალისტის პროგრამის ფარგლებში ეწვია. სამი კვირის განმავლობაში ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის პროფესორი თსუ-ში მედია მენეჯმენტის, ბიზნეს კომუნიკაციების, კომუნიკაციების სტარტეგიების და სხვა საკითხებზე საჯარო ლექციებსა და შეხვედრებს მართავდა. ჩვენ მასთან ინტერვიუს გთავაზობთ.

– აქ იმისთვის ვარ, რომ საქართველოს შესახებ მეტი ვისწავლო. ჟურნალისტიკის შესახებ ტრანსამერიკული კვლევა ჩავატარო და თსუ-ში ჟურნალისტიკის სწავლების მეთოდები შევისწავლო. ამ საკითხებს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყველგან ვსწავლობ, სადაც კი ამის საშუალებაა. ეს საქართველოში ჩემი პირველი ვიზიტია. როგორც ველოდი ძალზე ლამაზი ქვეყანა აღმოჩნდა. იგი იმ ადგილს მაგონებს, სადაც გავიზარდე – ჩრდილოეთ კაროლინას. ჩვენთან ასევე ბევრი მთაა – რუსეთის საზღვართან რომ არის, ისეთი მაღალი არა, მაგრამ მაინც მთიანი მხარეა.

– რა იცოდით საქართველოში ჩამოსვლამდე ამ ქვეყნის და ქართული მედიის შესახებ და რა გაიგეთ ახალი ვიზიტის შემდეგ?

– მანამდე ალბათ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ეს ის ადგილია, სადაც სტალინი და ბერია დაიბადნენ. გარდა ამისა, ვიცოდი, რომ თავისი ადგილმდებარეობის გამო, თავისი სავაჭრო-ეკონომიკური დანიშნულების მარშრუტით საქართველოს ახლო აღმოსავლეთსა და სამრეთ აღმოსავლეთ ევროპისთვის სტრატეგიული ადგილი ეკავა. ახლა ვიცი, რომ ქართული უნიკალური ენაა, რომელიც რუსულისგან განსხვავდება და ქართველები ძალიან ამაყები არიან თავისი ეროვნებით. რაც შეეხება ჟურნალისტიკას – როგორც აღმოვაჩინე, ქართული ჟურნალისტიკის სწავლების მეთოდები ძალზე ახლოსაა ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტში არსებულ სწავლების მეთოდებთან. დიდი მსგავსებაა სამაგისტრო პროგრამების თვალსაზრისითაც. წლების განმავლობაში მსოფლიო ჟურნალისტიკამ ერთმანეთში ბევრი რამის გაზიარება შესძლო. ასე რომ, ჩემი ვიზიტი საკმაოდ შემეცნებითი აღმოჩნდა.

– რა გაიგეთ თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტზე?

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ძალზე ძლიერი უნივერსიტეტია, რომლის სტუდენტებიც ძალზე აქტიურები არიან. საშუალება მქონდა დავსწრებოდი ერთ-ერთ ლექციას. მართალია, იგი ქართულად ტარდებოდა, მე კი ქართული არ მესმის, მაგრამ ჩემზე მან მაინც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დავრწმუნდი, რომ ქართველ სტუდენტებს აქვთ თავისი აზრი, რომლის გამოხატვისაც არ ეშინიათ ისევე, როგორც კითხვის დასმის. ისინი აქტიურად ერთვებიან დისკუსიებში. აქ, ლექციებზე, მე სტუდენტების უფრო მეტი აქტიურობის და ჩართულობის მოწმე ვიყავი, ვიდრე ჩემს ლექციებზე, ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტში ვარ მიჩვეული.

– ერთ-ერთ ლექციაზე თქვენ თქვით, რომ ლექტორი ხშირად თავად სწავლობს თავისი აუდიტორიისგან და მოსწავლეებისგან. რისი სწავლა შეძელით ქართველი აუდიტორიისგან?

– თუ რამე გინდა ისწავლო, პირველ რიგში მოსმენა უნდა იცოდე. მე ყოველთვის ვეკითხები ჩემს სტუდენტებს, თუ საიდან იღებენ ისინი ინფორმაციას. უმეტესობა ამისთვის სოციალურ მედიას, ფეისბუკს და სხვადასხვა ვებ-გვერდებს იყენებს. იმისთვის, რომ იცოდე რა გავლენა აქვს მედიას, საით მიდის იგი, უნდა ჰკითხო ამის შესახებ ახალგაზრდებს, ისევე როგორც ასაკით უფროს ხალხს. აწარმოო გარკვეული სახის გამოკვლევა.

– საქართველოში ტრადიციული და სოციალური მედიის ურთიერთკავშირით იყავით

დაინტერესებული...

– დიახ, როგორც წესი, მოსახლეობის დიდი ნაწილი ინფორმაციას იღებს მედიის ტრადიციული საშუალებებიდან და შემდეგ საკუთარ თვალსაზრისს, პოზიციას აყალიბებს სოციალური მედიის საშუალებით. ასეა ეს საქართველოშიც. ისევე როგორც სხვა ქვეყნებში.

– საქართველოში თუ აპირებთ დაბრუნებას?

– დიახ, შესაძლოა რაღაც პერიოდის შემდეგ. იმედი მაქვს ლექციების წასაკითხად ისევ მომიწვევენ.

ამბები

ჯონ ბასი თსუ-ში

1 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ჯონ როღნი ბასი ეწვია. ელჩმა საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილესთან დავით საყვარელიძესთან ერთად შეხვედრა სტუდენტებთან, პროფესორ–მასწავლებლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გამართა. შეხვედრის მთავარი თემა იყო „საქართველოს წარმატება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლაში“. შეხვედრისას თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის სტუდენტებს შორის ჩატარებულ ესეების კონკურსში გამარჯვებული ორი სტუდენტი გამოვლინდა. ნინო ფარსადანიშვილს და ნინო საღინაშვილს სპეციალური სერთიფიკატები გადაეცა. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის მიმართულების სტუდენტები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრობლემას თსუ საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ინიციატივით 2008 წლიდან სწავლობენ. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა 2011 წლის 27 ივნისს გამოაქვეყნა მე-11 ანგარიში მსოფლიოს მასშტაბით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შეფასების თაობაზე. საქართველო აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად მომზადებულ ანგარიშში შეფასების უმაღლეს კატეგორიაში მეხუთე წელია, ადგილს წარმატებით ინარჩუნებს.

კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის ინსტიტუტის კონფერენცია

5-7 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველი საერთაშორისო კრიმინოლოგიური კონფერენცია გაიხსნა. სამდღიანი კონფერენცია თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერაა ორგანიზებული. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა საქართველოდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან და ნორვეგიიდან. მოხსენებებით თემაზე – „სასჯელის მოხდის კრიმინოლოგიური ასპექტები“, „კორუფცია და მასთან ბრძოლის გზები“ თსუ-ის პროფესორები, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს, საქართველოს სახალხო დამცველისა და ციხის საერთაშორისო რეფორმის წარმომადგენლები წარსდგნენ.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ბათუმში

14-15 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით ქალაქ ბათუმში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა. კონფერენციის თემა იყო: “სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები: პრობლემები და გამოწვევები”. კონფერენციის პლენარულ სხდომა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა გახსნა. კონფერენციას საქართველოს განათლების მინისტრი, სომხეთისა და აზერბაიჯანის განათლების სამინისტროების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კონფერენცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრის მხარდაჭერით და შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის დაფინანსებით განხორციელდა.

თსუ-მ ყარსში I ადგილი დაიკავა

დასრულდა ტრადიციული შავი ზღვისპირა ქვეყნების საგამაჯახულო სტუდენტური ზეიმი, რომელიც გაიმართა 20-22 ივნისს თურქეთის ქალაქ ყარსში.

მონაწილეობდა 4 უნივერსიტეტი. თსუ-მ 1 გუნდური ადგილი დაიკავა.

მინი-ფეხბურთი – I ადგილი,

ჭადრაკი (გოგონები) – I სალომე სირაძე, II – ანა ხაჟომია, III – ელისაბედ ზარქუა,

ჭადრაკი (ვაჟები) – I დიმიტრი კვარაცხელია, II – დავით სიჭინავა,

მაგიდის ჩოგბურთი (ვაჟები) I – ლაშა ფერაძე,

ჩოგბურთი (ვაჟები) – I ანზორ ფილია,

ჩოგბურთი (გოგონები) – I მარიამ ჭაანტურია,

ფრენბურთი (ვაჟები) – III ადგილი,

ფრენბურთი (გოგონები) – I ადგილი.

სტუდენტური ჩემპიონატი კალათბურთში

ა/წლის 7 ივლისს აკადემიის სპორტულ დარბაზში დაიწყო სტუდენტური ჩემპიონატი კალათბურთში. ჩემპიონატი ტარდება საქართველოში პირველად. შეჯიბრში მონაწილეობს 6 გუნდი: გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, სამედიცინო უნივერსიტეტი, აგრარული უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ილიას უნივერსიტეტი.

თსუ ვაჟ კლათბურთელთა სტუდენტურ გუნდს ოთხი თამაშიდან ოთხი მოგება აქვს და ჩემპიონატში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან პირველ – მეორე ადგილს იყოფს.

თსუ – გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი 106:22

თსუ – აგრარული უნივერსიტეტი 99:83

თსუ – სამედიცინო უნივერსიტეტი 106:68

თსუ – ილიას უნივერსიტეტი 96:84

ჩემპიონატის I წრის გადამწყვეტი შეხვედრა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან გაიმართა, რომელსაც ასევე ოთხი მოგება აქვს. ჩემპიონატის II წრე განახლდება სექტემბერში.

ყველაგე ლამაგები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თავისი სილამაზის დედოფალი ჰყავს. ექვსკაციანმა ჟიურიმ რექტორის თავმჯდომარეობით “მის თსუ”-ს ტიტული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ამერიკისმცოდნეობის მიმართულების 19 წლის სტუდენტს ნეკა დოროყაშვილს მიანიჭა.

კონკურსი 27 ივნისს, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, კუს ტბაზე ჩატარდა.

ჟიურის წევრები ყოფილი მის საქართველო და სამოდელო სააგენტო “ფეშენ შარმი”-ს ხელმძღვანელი ირინა ონაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ავალიანი, ვიცე-მის საქართველო ანუკა გოგიჩაიშვილი, თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდეტი დაჩი გუბაძე და თსუ-ს სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი ხარჯევანიძე.

ჟიურის გადაწყვეტილებით, თსუ-ის პირველი ვიცე-მისის ტიტული ნინო მახარაძეს ერგო. მეორე ვიცე-მისი კი ანა ესაკია გახდა. ფაკულტეტების მიხედვით კონკურსიის მონაწილეების ჩამონათვალი ასეთია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი: ნინი მახარაძე, სალი ხომერიკი, ნინი ჭუმბურიძე; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: ანი ესაკია, ანა ბურძიაშვილი; იურიდიული ფაკულტეტი: ანა შატაკიშვილი, ანი ჯანაშია, სალომე აბაშიძე; ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: ღელა ცხოიძე.

ცნობისთვის: კონკურსან-ტების უმეტესობა უკვე სხვადასხვა სამოდელო სააგენტოსთან თანამშრომლობს. ნეკასთვის კი ეს კონკურსი სადებიუტო იყო. სამოდელო კარიერაზე სერიოზულად არ უფიქრია და ჯერ არც ფიქრობს. როგორც თავად ამბობს, კონკურსის განმავლობაში რამდენიმე მიზეზის გამო არ უღელვია: კონკურსანტები ერთმანეთს კარგად იცნობდნენ და ერთმანეთს მეტოქეებზე მეტად მეგობრებად აღიქვამდნენ. გარდა ამისა, საბოლოო ვერდიქტის გამოტანამდე ნეკას “მის ფოტოგენურობის” ტიტული მიენიჭა. “საერთოდ არ მინერვიულია, უბრალოდ მინდოდა ეს ყველაფერი კიდევ უფრო მეტ ხანს გაგრძელებულიყო. იმ ერთი კვირის განმავლობაში, როდესაც პოდიუმზე გამოსვლას ვსწავლობდით, გოგონები ძალიან დავმეგობრდით. მას შემდეგ რაც ერთი საპრიზო ადგილი მერგო, კიდევ ერთს, მით უმეტეს – პირველ ადგილს ნამდვილად აღარ ველოდი” – ამბობს ნეკა.

პოდიუმზე გამოსვლას გოგონებს “სტუდენტ ფეისის” გამარჯვებული მოდელი ანუკა ბუხნიკაშვილი ასწავლიდა. “მის ფოტოგენურობა” “ლიკ სტუდიოში” გადაღებული სურათებით გამოვლინდა, რო-მელიც პორტფოლიოების სახით გოგონებს საჩუქრად სტუდიის წარმომადგენელმა ირაკლი ღუღუნიშვილმა გადასცა.

ორი საპრიზო ადგილის გარდა, თსუ-ის დედოფალმა საჩუქრად დიადემა მიიღო.

კონკურსის მონწილეები ესთეტიკური მედიცინის ცენტრმა “შაინმა” საკუთარი აბონემენტებით დაასაჩუქრა. კონკუტსის მუსიკალურ განწყობის შექმნაზე “ჯეოსტარელები” ნოდიკო ტატიშვილი, სალომე ბაკურაძე და მარიამ ხუცურაული ზრუნავდნენ.

“მის თსუ”-ს სტატუსით ნეკა დოროყაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გასულ კვირას კონკურს “სტუდენტ-ფეისში” წარმოადგინა.

„გუშინ ღამესთან ფიცვერცხლი ვჭამეთ“

26 ივნისს თსუ-ში კავკასიური საღამო გაიმართა. საღამოზე ჯგუფმა “ფიცხვერცხლმა” რამდენიმე კომპოზიცია შეასრულა. ჯგუფი, რომლის შვიდი წევრისგან ოთხი თსუ-ის სტუდენტია, თსუ-ის საქველმოქმედო თუ კულტურული ცხოვრების უკვე აქტიურ მონაწილედ იქცა.

„ფიცვერცხლი“ საქართველოს მთიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელი უძველესი ტრადიციაა. ფიცვერცხლის ჭამა ძმად გაფიცვის ერთ-ერთი წესი იყო: ორი ვაჟკაცი სასმელში თავიანთი იარაღის ვერცხლს ჩაფხეკდა, რამდენიმე წვეთს საკუთარ სისხლს ჩაურევდა და დალევდა. ამის შემდეგ ფიცვერცხლნაჭამნი ერთმანეთის ჭირსა და ლხინს იზიარებდნენ.

2010 წელს ერთმა ფოლკლორულმა ჯგუფმა მთის ეს უძველესი ტრადიცია ბარშიც შეასრულა. ძმადგაფიცვის ადათი გელა დაიაურმა აღასრულა. თუმცა, მთის ტრადიციისაგან განსხვავებით, ბარში შესრულებულ ამ რიტუალში მონაწილეობას მანდილოსანიც (თამთა მანძულაშვილი) იღებდა, რომელიც „ძმადგაფიცულ“ ბიჭებს შესანიშნავ „ძმობას“ უწევს შემოქმედებაში.

ჯგუფი სახელად „ფიცვერცხლი“ საზოგადოებამ „რუსთავი-2“-ის პროექტიდან „ნიჭიერი“ გაიცნო. მათ ნახევარფინალში შეასრულეს სიმღერა „არ იდარდო“ ორიგინალური ინტერპრეტაციით.

2008 წლის ნოემბერში ოთხმა მუსიკოსმა (თამთა მანძულაშვილი, რატი ჩაკვეტაძე, გიორგი გურჯიძე, რევაზ ბარამიძე) ჯგუფის ჩამოყალიბება გადაწყვიტა. მათ ერთმანეთი 2007 წლის არტ-გენის ფესტივალზე გაიცნეს და სულ რაღაც ერთ წელიწადში ახალი ფოლკლორული ანსამბლიც შეიქმნა. ამჟამად ჯგუფი შვიდი წევრისაგან შედგება, რომელთაგან ოთხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია.

ჯგუფის სახელიდან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ მათი რეპერტუარი ფოლკლორული სიმღერებისაგან შედგება. მოგვიანებით კი „ფიცვერცხლმა“ ძველი სიმღერების ახალი არანჟირებების შექმნა დაიწყო. ჯგუფის წევრთა უმრავლესობა თვითნასწავლია, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ შესანიშნავად შეძლეს ქართული და უცხოური ინსტრუმენტების სინთეზით მუსიკისათვის სპეციფიური და სასიამოვნო ჟღერადობა შეეძინათ. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ისინი თითქმის ყველა სახის მუსიკალურ ინსტრუმენტს იყენებენ (ფანდური, ბასფანდური, გიტარა, ბასგიტარა, გარმონი, ჭუნირი, ჰარმონიკა, პერკუსია, შეიკერი და სხვ.).

ჯგუფის რეპერტუარში 70-მდე სიმღერა და კომპოზიციაა. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ მუსიკალურად გააფორმეს ნათია ნიკოლაშვილის ანიმაცია „ამომავალი მზის ქვეყანა“. „ფიცვერცხლი“ აქტიურად ერთვება თითქმის ყველა ფოლკლორულ კონცერტში, რომელიც საქართველოში იმართება. ასევე, ჯგუფი უკვე არტ-გენის ყოველწლიური ფესტივალის სასურველი მონაწილეა.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ-ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge